პარასკევი, 28 სექტემბ. 1907 წ.

წელიწადი პირველი — № 214

# „ისარი"

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყველა თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ორმ 15 კაპ. მეოთხე გვერდზე 10 კ.
ხელის მოწერა და განცხადების მიიღება «ისარი»-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

იბეჭდება და ნოემბრის დამლევს გამოვა

## დროების კალენდარი

დამდეგი 1908 წლისათვის.

კალენდარი შეიცავს ჩამოკლებულ განცხადებებს, რომლებშიაც მოთავსებული იქნება: საქართველოს ცნობები, რუსეთის იმპერატორების გვარეულობა და მათი ქონება, საქართველოს რუსეთთან შეერთების ცნობები, ... ცნობები, უცხოეთის ... ცნობები, ... 1905—1907 წ. ... ცნობები.

✦ კალენდარში დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ✦

ვინც ადრე დაიბარებს «დროების კალენდარს», მას 30% დაეთმობა.

ადრესი: ტფილისი, «ისარის» რედაქცია «დროების კალენდარს» გამომცემლებს.

## „კახეთის"

მევენახეთა საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა 1907 წ. 28 ოქტომბერს დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისში დილის 10 საათზე საზ. კანტორაში. კრებამ უნდა განიხილოს 15 მარტს ამორჩეულ კომისიის მოხსენება. (2—6—1)

## განცხადება

ამით ვაუწყებ ამიერ კავკასიის მევენახეთ,

რომ ტფილისელმა სირაჯებმა პირადი ინტერესებისთვის გაავრცელეს ხმა, ვითომ ხოსროევის ქარვასლაში არავის არა აქვს უფლება ღვინის მიტანისა. მათ წინააღმდეგ მე შესაფერი ზომები მივიღე და შემდეგისთვისაც ვაფრთხილებ. ხოლო მევენახეებს ვაუწყებ, რომ ქარვასლაში თავისუფლად შეიძლება ღვინის მოტანა და ეხლაც მოაქვთ კომისიით. თუ ვინმემ გაბედა და ქარვასლაში ღვინის მოტანა აუკრძალა ვისმეს, გენერალ-გუბერნატორთან ვუჩივლებ.

მფლობელი ისაია კასპაროვი.

(2—340—1)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათამდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს არ მიიღებს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ე ქ ი მ ი

**ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში

**ექიმი ი. ი. ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უოპერაციოდ პროფ. ზიერის მეთოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—21)

ე ქ ი მ ი

**ივ. გომართელი**

პირველ ოქტომბრიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. ტფილისში. გოლოვინის პროსპექტი სახ. თამამშევისა № 33. (25—526—14)

კბილის ექიმი

**ს. გ. რომანიშვილი**

მიიღებს კბილებით ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდის და საღამ. 4—6 საათამდის.
მუხრანის ქუჩა № 11. ქალაქის სამკურნალოს გვერდით. (25—ბ.—10)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25- (0—187)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. კერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—20)

ელექტრონის და რენტგენის

**სამკურნალო კაბინეთი**

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1, საღამოს 6—7 საათ. ყორღანოვის ქ., ვერაზე; საკ. სახლი № 20 ტელ. 791. (26—6.—10)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრის ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინსკი**—შინ.ს ნეულ. კვირა 3—4 ს.
**რიდელ**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდ. $1^1/_2$—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.
**ანპინსკი**.—ყურ. ყელ. ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარ. გარდა.
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშ., ოთხშ., პარას. კვირ. 1—2 ს.
**ზილოვსკი**—შინ. გიპნოტ. ყოველდღე 4—5 ს.
**გორაჯლევიჩი**. შინაგ. ყოველ დღე, $11^1/_2$—$1^1/_2$
**ინაევი**—ქალთა ავად. 4—5 ს.
**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., ელექტრ. ყოველდღე. 4—5 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ნოვიცკი**—ქალ., ბავშვ. ყოველ 1—2.
**ნევშორთოვა**—კბილისა, ყოველდღე 10—12 და 3—5 ს.
**პიკარსკი** | **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—37)

ქუთაისში

კბილის ექიმი

**ე. დ. ნასარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—19)

ე ქ ი მ ი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—$11^1/_2$. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ტრამვაის სამუსიკო ამხანაგობისაგან**

„რენესანსის" თეატრში

შაბათს, 29 სექტემბერს, 1907 წელს, წარმოდგენილი იქნება ქართულად

## და-ძმა

დრამა 5 მოქ. 6 ს, გუნიასი.

რუსულ ენაზედ

## ძვირფასი კოცნა

ვოდევილი 1 მოქმედ.

დასასრულს ევროპიული ცეკვა. დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ.

2—უ.—1) გამგე დირექტორი ფრიდმანი

მოითხოვეთ საუკეთესო

## წისქვილის ქვები

ამხ „გეორგია"-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—13)

ც ნ ო ბ ი ლ ი

## ქალთა სამკერვალო „SALON MODES"

სოლოლაკში, სერგეევის ქუჩაზე № 1—9 განაგრძობს თავის მოქმედებას. იღებს შეკვეთებს უკეთეს ... ქალის ტანისამოსის, ... და ... ...
სამკერვალო შეკვეთებს იმავე ოთახში.

გაგზავნა საზღვარგარეთის ... მოდის ... ... (25—6.—15)

## ვკისრულობ

ხელნაწერების შესწორებას და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ «ისარის» რედაქციაში.

განსვენებულ ლუარსაბ თეიმურაზის ძის ლოლუას ჭირისუფალნი ... და დები ... ... გულითად მადლობას უძღვნიან დაწესებულებათ, ნათესავთა და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს მიცვალებულის ხსოვნას.

## ტფილისი, 28 ენკენისთვე.

ამას წინად ჩვენ გავაცანით მკითხველთ პოლონეთის პოლიტიკურ პარტიების ახლანდელი მოქმედება და მათ მიერ არჩეული პოზიცია საარჩევნო ბრძოლაში. ჩვენ ვნახეთ, რომ 3 ივნისის კანონის გამოცხადების შემდეგ პოლონეთის საზოგადოება და ხალხი იმდენად აღელვებული და შეურაცხყოფილნი იყვნენ პოლონელთა პოლიტიკურის უფლების შეკვეცით, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა პირდაპირს ბრძოლაზედაც დაიწყეს ლაპარაკი და სათათბიროს სრულს ბოიკოტზედაც. მაგრამ გაიარა პირველმა შთაბეჭდილებამ და ბრძოლის განწყობილებამ ადგილი დაუთმო ოპორტუნისტულს პოლიტიკას. ცნობილმა ნაციონალისტ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა წერილებით მიჰმართეს საზოგადოებას, რომლებით ამტკიცებდნენ ბოიკოტის ტაქტიკის გამოუსადეგრობას დღევანდელ პოლიტიკურ მომენტში და ურჩევდენ სათათბიროში დეპუტატების გაგზავნას „მხოლოდ 3 ივნისის კანონის წინაალმდეგ საბრძოლველად და პოლონეთის სახელით პროტესტის გამოსაცხადებლად". ეს აზრი პოლონეთის საზოგადოებამ მოიწონა და სამი უმთავრესი ბურჟუაზიული პარტია — ნაროდოვაია დემოკრატია (n. d.), პროგრესიული პარტია (p. p. p.) და რეალურ პოლიტიკის პარტია (უგოდოვცები) შეუდგნენ საარჩევნო მზადებას. რადგან საქმე 3 ივნისის კანონის წინაალმდეგ ბრძოლასა და პროტესტის გამოცხადებაში იყო, თავის თავად დაიბადა იდეა შეერთებულ მოქმედებისა და გაჩნდა ეგრედ წოდებული „ნაციონალური კონცენტრაცია": მომავალ სათათბიროში ყველა პოლონურ პარტიებსა და მიმართულებას უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, რათა „ბრძოლა 3 ივნის კანონის წინაალმდეგ და პროტესტი მთელის ერისაგან იყოს"-ო. ბურჟუაზულმა პარტიებმა სოციალისტებთანაც-კი გამართეს მოლაპარაკება და მათაც იწვევდნენ „კონცენტრაციაში". სოციალისტური პარტიები, რასაკვირველია, ბურჟუაზულ კოლოში ვერ შევიდნენ, მაგრამ „პოლონელი სოც პარტია" (p. p. s.) პრინციპიალურად წინაალმდეგი არ იყო იმ აზრისა, რომ მესამე სათათბიროში ყველა პოლონურ პარტიას ჰყოლოდა წარმომადგენლობა საერთო პროტესტისა და საერთო პოლიტიკურ დემონსტრაციის მოსახდენად. სოციალისტურმა პარტიებმა ცალკე გამართეს ურთიერთშორის ბლოკზე მოლაპარაკება, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს არ მოხერხდა...

ამ მდგომარეობაში იყო საქმე დღემდე, თითქმის საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე. ამ დღეებში კი სურათი შესამჩნევად შეიცვალა: ბურჟუაზიულ პარტიებში განხეთქილება მოხდა და „ეროვნული კონცენტრაცია" თითქმის დარღვეულად უნდა ჩაითვალოს. როგორც ვიცით, „კონცენტრაციაში" სამი პარტია შედიოდა: ცენტრში ჩადგა „ნაროდოვაია დემოკრატია", მარცხნივ ფლანგი დაიჭირა პროგრესისტულმა დემოკრატიამ, ხოლო მარჯვენა—უგოდოვცებმა. ეს იყო შეერთება პოლონეთის ბურჟუაზიის მარცხნივ დემოკრატიულ ელემენტებისა (p. p. p.), ნაციონალისტ-კონსერვატორებისა (n. d.) და რეაქციონერებისა (p. r. p.),—შეერთება ნაძალადევი, რადგან პროგრესისტებისა და ნაროდოვცების პოლიტიკურ-სოციალური შეხედულებანი მოურიგებელნი არიან. ამ შეერთების ფარგლებში მაინც ყველა პარტიას თავისი ინტერესი ჰქონდა. ხელს იღებდნენ საკუთარ პროგრამის შესრულებაზედ და მხოლოდ 3 ივნის კანონის წინააღმდეგ ბრძოლას ჰფიქრობდნენ. ამ შემთხვევაში პარტიებს, რასაკვირველია, თანასწორუფლებობა უნდა ჰქონოდათ „კონცენტრაციაში". მაგრამ მალე აღმოჩნდა ნაროდოვცების ორპირობა: გამოირკვა, რომ ამ გავლენიან და ძლიერს პარტიას ისევ ბატონობა უნდა მომავალ კოლოში; პარტიამ პრეტენზია გამოაცხადა მომეტებულს დეპუტატო ადგილზე და აგრეთვე მთელს პრეზიდიუმზე: კოლოს ხელმძღვანელი ბიურო სათათბიროში მხოლოდ ნაროდოვცებისაგან უნდა შესდგეს. მოლაპარაკებამ ვეღარ გასჭრა და გასულ კვირას პოლ. პროგრ. პარტიამ ოფიციალურად განაცხადა, რომ „ნაციონალურ კონცენტრაციიდან" გამოდის და არჩევნებს პასსიურ ბოიკოტს უცხადებს.

ამრიგად, უფრო პროგრესიული ნაწილი პოლონეთის საზოგადოებისა ისევ ჩრდილში რჩება და კოლოს შედგენილობა ისევ ვიწრო ნაციონალისტურ-რეაქციონული იქნება. ესეთი კოლო, რასაკვირველია, არც იფიქრებს ენერგიულს ბრძოლაზე მთავრობასთან და ისევ „ბრძნულ რეალურ პოლიტიკას" აწარმოებს, ე. ი. საზოგადო-სახელმწიფოებრივ საკითხებში, პოლიტიკურსა და სოციალურში, რათა ოტა მაინც მოიგოს ეროვნულს მოთხოვნებში; დაიწყება ოპორტუნისტული ვაჭრობა და ხელოვნური რყევა მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შუა...

რაც შეეხება სოციალისტურ პარტიებს, იქ მდგომარეობა არ შეცვლილა: პოლონეთის სოც. პარტიის ერთი ფრაქცია, ერთის მხრით, და ს.-დ., მეორეს მხრით, დამოუკიდებლად მუშაობენ. რადგან მათში შეთანხმება არ მოხდა და რადგან, მეორეს მხრით, ბურჟუაზიულ პარტიებიდან კონკურენცია განიდევნა p. p. p-ის ბოიკოტით, ძალიან საეჭვოა, რომ სოციალისტურმა პარტიებმა გამარჯვება მოიპოვონ არჩევნებზე. როგორც სჩანს, იქ ისევ ნაროდოვცებს დარჩებათ ბურთი და მოედანი.

### რა არის საჭირო წერა-კითხვის საზოგადოებისთვის

(ზოგიერთი შენიშვნა)

კარგი ხანია გაისმის სამდურავი იმის შესახებ, რომ წ.-კ. საზოგადოება არაფერს აკეთებს, მიყუჩდა, არა ისმის რა მის მოქმედებაზე, არსად სჩანს მისი საქმე. ეს უმოქმედობა და გაჩუმება მით უფრო გასაკვირველი და სამწუხაროა, ამბობენ, რომ დღეს, რაც უნდა იყოს, ცხოვრება შესამჩნევად გამოიცვალა, ძველი ბიუროკრატიული წეს-წყობილება წინანდებურად ვერა ჰბორკავს და ახჩობს კერძო ინიციატივას და საზოგადოებრივ მოქმედებას, და ყოველი დაწესებულება ყოველი, წრე, ჯგუფი, საზოგადოება შეუდგა განახლებას, მხნედ მეცადინეობს, იბრძვის, ეძებს ახალს გზას, აფართოვებს სამუშაო ასპარეზს და სცდილობს, გამოიყენოს შეცვლილი პირობები თავის მოღვაწეობის გასაძლიერებლად.

ა̇ეთი საყვედური სამართლიანია: არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ „საზოგადოება" მიყუჩდა, მისი მოქმედება შესუსტდა. „წერა-კითხვის საზოგადოება" ცხოვრებას ჩამორჩა; იგი არამც თუ წინ არ მიუძღვის მოთხოვნილებებს, არამედ თან ვერ მიჰყვება და ეს ჩამორჩენაა მისი უმოქმედობა. წინანდელი დრო რომ იყოს, „საზოგადოების" უმოქმედობას ვერავინ შეამჩნევდა, რადგან დღეს წინანდელზე ნაკლებად არ მუშაობს, მაგრამ წინანდებური მუშაობა დღეს არა კმარა, ამგვარის მუშაობით საზოგადოება დღეს ვერ შეასრულებს თავის დანიშნულებას, რადგან გამოფხიზლებულს ცხოვრებას და გაფართოვებულს მოთხოვნილებებს გაფართოვებული მოქმედება სჭირია. ცხოვრება მოუწოდებს „საზოგადოებას" განახლებისა და გაძლიერებისათვის, და თუ ამას ვერ შესძლებს, გაჰქრება, მოისპობა. ოცდა ხუთი წლის განმავლობაში „საზოგადოებამ" ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ქვეყნის კულტურისა და განათლებისათვის და მისი სახელი წაუშლელი დარჩება ჩვენის გათვითცნობიერების ისტორიაში, ხოლო თუ დღეს, ახალ პირობების მიხედვით, არ მოახდინა რეორგანიზაცია, არ გააორკეცა მოღვაწეობა, მისი არსებობა დასრულდება და სამუდამოდ გაჰქრება მისი მნიშვნელობა.

ჩვენ გვახსოვს ერთი ამბავი ამ სამი წლის წინად, პლევეს ბატონობის დროს: ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის საპროგიმნაზიო კლასებს დირექცია დაკეტვას უპირებდა, ბათუმის სკოლას განსაცდელი მოელოდა ადმინისტრაციის მხრით, ქართული ენის საქმე ყველა სკოლებში ბეწვზე ეკიდა, ბიბლიოთეკებს პოლიცია დაკეტვას ემუქრებოდა,—ასეთი დრო იყო და საზოგადოების გამგეობის ზოგიერთი წევრები ამბობდნენ: ოღონდ ისეთს დროს მოვესწროთ, რომ ცოტაოდენი თავისუფლება გვქონდეს, და ქვეყანას შევძრავთ, ფულს ვიშოვნით და სკოლებითა და ბიბლიოთეკებით მოვფენთ მთელს საქართველოსაო. დღეს მათი ნატვრა ასრულდა და თუმცა სრული თავისუფლება ჯერ არ დამყარებულა, მაგრამ მაინც თავისუფლად (შედარებით წინანდელ დროსთან) შეიძლება სკოლების და სამკითხველოების გახსნა, წიგნების გამოცემა და სხვა. ხოლო სად არის დაპირებული სიმხნევე და გაძლიერებული შრომა?

მართალია, პოლიტიკურმა საკითხებმა ყველაფერი დაიმორჩილა ჩვენში და ამ გარემოებას თავისი გავლენა ჰქონდა „წერა-კითხვის საზოგადოების" მოღვაწეობაზედაც. მაგრამ რუსეთის და მასთან ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ განახლების საქმე ორსა და სამს წელიწადს არ გათავდება. მანამდის რომ ჩვენი სწავლა-განათლების საქმე შევაჩეროთ, ძალიან ცუდად მოვიქცევით, მით უმეტეს, რომ უკანასკნელმა ამბებმა ცხადად დაგვანახვეს, რომ პოლიტიკურ და სოციალურ განახლების მტკიცე საფუძველს შეადგენს ხალხის სწავლა-განათლება. „წერა-კითხვის საზოგადოება" თავში უნდა დაუდგეს და გაუძღვეს სახალხო განათლებას და ამით ის დაუფასებელს სამსახურს გაუწევს ჩვენი ქვეყნის საერთო აღორძინებას. კარგი სკოლა, წიგნი, ლექცია, კულტურული გასართობი—აი უძლიერესი იარაღი, რომლითაც „საზოგადოებას" შეუძლია ყველა ჩვენი სახალხო საქმე დააყენოს შეგნებულს ნიადაგზე და მოსპოს მრავალი ის სიმახინჯე, რომელსაც ვხედავთ სოფლად და ქალაქადაც.

„საზოგადოება" თავში უნდა დაუდგეს სწავლა-განათლებას, ვამბობთ მაგრამ ამით სრულიად იმისი თქმა არ გვინდა, რომ საზოგადოება უნდა გადაიქცეს რაღაც

ცენტრალურ-ბიუროკრატიულ დაწესებულებად. „საზოგადოების“ მოღვაწეობა ორნაირია, პირდაპირი და არა-პირდაპირი, იგი გამართავს სამკითხველოებს, სკოლებს, ლექციებს, გამოსცემს წიგნებს, ადგილებს და დაიმუშავებს საკითხებს, რომლებიც შეეხება სწავლა-განათლების საქმეს; ხოლო ამავე დროს უნდა ეხმარებოდეს სხვა დაწესებულებებს და კერძო პირებს სწავლა-განათლების საქმეში, უნდა ეხმარებოდეს იდეურად უფრო, ვიდრე ქონებრივად, უნდა მისცეს რჩევა, ცნობები, მიაწოდოს ყოველგვარი საჭირო მასალა. „საზოგადოებაში“ უნდა იყოს მოთავსებული ყველა მასალა არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის და სხვა ქვეყნების განათლების შესახებ, „საზოგადოება“ უნდა იყოს მოწყობილი მუდმივი გამოფენა სწავლა-განათლების საგნების, სადაც მასწავლებელს უნდა ნახოს მოდელი, ცნობა და რჩევა განათლების ყოველ საკითხის შესახებ. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ „საზოგადოება“ უნდა ემსახურებოდეს არა მარტო სასკოლო და პირველდაწყებით განათლებას; მისი მიზანი უფრო ფართო უნდა იყოს: საზოგადო და პროფესიონალური განათლება, დაბალი, საშუალო და მაღალი, და აგრეთვე **განათლება სკოლის გარეშე**, (სახალხო უნივერსიტეტი, ლექციები, კულტურული გასართობი და სხ.), უკანასკნელი არა ნაკლებ საჭიროა ჩვენთვის, ვიდრე სკოლები.

ყველაფრის ამის შესრულება და განხორციელება შეუძლიანთ ადამიანებს, მუშა და მხნე ადამიანებს. საქმეს ჰქმნის უპირველესად ადამიანი და არა წესდება და კანონი. მაგრამ, ჩვენის აზრით, მაინც საჭიროა ზოგიერთ გარეგან პირობების შეცვლა, რათა „წ. კ. საზოგადოების“ მოღვაწეობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. აუცილებლივ საჭიროა: 1) საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა და 2) „საზოგადოების“ მუზეუმ-ბიბლიოთეკის კანცელარიის და წიგნის მაღაზიის გადატანა უკეთეს მოხერხებულ ადგილზე. **კ—ი.**

(დასასრული იქნება)

## პროფესიონალურ მოძრაობის სიმძლავრე

(„რ. ვედ.“-იდან)

თანამედროვე მოძრაობის უმთავრესი დამახასიათებელი ფაქტი არის ზრდა პროფესიონალურ კავშირებისა.

უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში საზოგადოთ მუშათა ორგანიზაციები ძალიან წინ წავიდა, მაგრამ პროფესიონალური მოძრაობა ამ მოკლე ხნის განმავლობაში ისეთი დიდი ძალა გახდა, რომ პროლეტარიატის სხვა ორგანიზაციები სრულიად დაჩრდილა...

უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ ათ სახელმწიფოში პროფესიონალურ კავშირების წევრი მუშა ყოფილა—5,474,389; აქედან ინგლისში—1,866,755 მუშა, გერმანიაში—1,922,343, ავსტრიაში—323,099, ბელგიაში 148,483, შვეციაში—117,935, დანიაში—92,627, ჰუნგრეთში—71,173, ნორვეგიაში—18,600, ბოლგარიაში—8,300, სერბიაში—5074. პროფესიონალურ კავშირების წევრი მეტ წილად ქალაქის მუშებია; სოფლის მუშების ორგანიზაცია ჯერ-ჯერობით ახალი საქმეა, იგი ეხლა იწყებს განვითარებას პროფესიონალურ კავშირების საერთაშორისო ორგანიზაციის ცნობებით ჰუნგრეთში შეკავშირებული სოფლელი მუშები 25 ათასია, შვეციაში—3000, ესპანიაში—2374, ავსტრიაში—1008, დანიაში—536. იტალიის შესახებ, სადაც სოფლის მუშების მოძრაობა ძალიან განვითარებულია, ამ ანგარიშში ცნობები არ არის.

შეკავშირებულ მუშებ შორის მეტი წილი, რასაკვირველია, მამაკაცებია. ქალაქის მუშებ შორის კავშირის წევრს დედაკაცი 259,502-ია, სოფელში 42 (ეს ცნობა მხოლოდ ავსტრიას ეხება).

იტალიაში პროფესიონალურ ორგანიზაციებში შეკავშირებული მუშა ნახევარი მილიონი. სოფლის მუშების ორგანიზაცია არსად არ არის ისე განვითარებული, როგორც იტალიაში. სოფლელ მუშების მოძრაობა დაიწყო აქ ოთხმოციან წლებში. მაგრამ ნამდვილმა პროფესიონალურმა მოძრაობამ, რომელსაც მიზნად აქვს შრომის პირობების გაუმჯობესება, თავი იჩინა მხოლოდ ამ უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში... სულ სამის წლის განმავლობაში დაარსდა 1500 კავშირი, რომელსაც 300 ათასი წევრი ჰყავდა. დიდი უმრავლესობა ამ მუშებისა შედიოდა ეროვნულ ფედერაციაში, რომელიც დაარსდა 1901 წელს სოფლელ მუშების პირველ კონგრესზე ბოლონიაში. 1902 წლამდე ეს მოძრაობა აჩქარებულის ტემპით მიდიოდა წინ და დიდი იმედიც ჰქონდათ მისი. ამ წლიდან კი მოძრაობა შეფერხდა: გლეხთა კავშირები მხოლოდ მებრძოლი კავშირები იყო, იარაღი—გაფიცვა, და რაკი გაფიცვები მეტ წილად დამარცხებით გათავდა, ორგანიზაციებიც ძალიან შესუსტდა და 1904 წელს სულ 101,200 წევრი ჰყავდა. გამოცდილებამ ჭკუა ასწავლა მუშებს და შეუდგნენ უფრო მტკიცე ორგანიზაციების მოწყობას, რომელთაც გარდა გაფიცვის მოწყობისა სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, როგორც, მაგალითად, მომხმარებელ საზოგადოებათა და მწარმოებელ ამხანაგობათა (საამხანაგო იჯარა) დაარსება. სოფლელ მუშების მოძრაობა ისევ მოცოცხლდა და 1905 წლის დასასრულში უკვე 221,913 წევრი ჰყავდა ორგანიზაციებს.

საფრანგეთში პროფესიონალურ კავშირებში შედის 715,576 მუშა. რუსეთის შესახებ ცნობები ძალიან ცოტაა. როგორც ჰფიქრობენ, აქ ორასიდან სამას ათასამდე მუშა უნდა იყოს შეკავშირებული პროფესიონალურ ორგანიზაციებში.

ესპანიასა და შვეიცარიაში დაახლოვებით 130 ათასამდეა ასეთი მუშა.

ასე რომ ევროპაში სულ უკანასკნელი ექვსი მილიონი მუშა უნდა იყოს შეკავშირებული პროფესიონალურ ორგანიზაციებში. და ეს იყო 1906 წლის დასაწყისამდე. ამ ერთის წლის განმავლობაში პროფესიონალური მოძრაობა შესანიშნავად გაძლიერდა: სულ უკანასკნელი ერთი მილიონი ახალი წევრი შეიძინა, ასე რომ დღეს ევროპაში შვიდი მილიონი მუშაა შეკავშირებული.

რამდენი წევრი ჰყავს ამერიკაში პროფესიონალურ კავშირებს, დანამდვილებით არავინ იცის სხვა და სხვა ადგილობრივ პირობების გამო. ყოველ შემთხვევაში მკვლევარები იმ აზრის არიან, რომ აქ ორი მილიონი მუშაა შეკავშირებული ამერიკის ფედერაციაში; ფედერაციის გარეთ შეკავშირებული უდრის ერთ მილიონს.

ავსტრალიაში 170 ათასია ასეთი მუშა.

აზიაც ჩაება საერთო ფერხულში. მაგალითად, იაპონიაში უკვე არსებობს მტკიცე და ძლიერი ორგანიზაციები ასოთამწყობებისა, რკინის გზის მუშებისა, ლითონზე მომუშავეთა და სხვებისა.

ამ გვარად ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში შეკავშირებულია სულ უკანასკნელი ათი მილიონი მუშა. თუ ანგარიშში ჩავაგდებთ ამ მუშების ოჯახის წევრებსაც, პროფესიონალური ორგანიზაციები შეადგენენ „სახელმწიფოს, რომელშიაც ორმოცდაათი მილიონი სული ცხოვრობს“.

## არჩევნები

**ქუთაისი.** ქუთაისის ქალაქის არჩევნებზე, როგორც შევიტყეთ, საჩივარი შეუტანიათ სამაზრო საარჩევნო კომისიაში. ითხოვენ არჩევნების გაუქმებას. საჩივარში თურმე აღნიშნულია რამდენიმე შემთხვევა კანონის დარღვევისა

ამ ნაირივე საჩივარი მიუღია სამაზრო საარჩევნო კომისიას ქუთაისის მაზრის გლეხთა კურიის შესახებ.

ოზურგეთში არჩევნები არ შესდგა, რადგან არც ერთმა კანდიდატმა არ მიიღო ხმათა უმრავლესობა.

ზუგდიდის მაზრაში არც ერთი ს. დემოკრატი ამომრჩევლებს არ აურჩევიათ.

რუსთა კურიამ ამომრჩევლად აარჩია სახაზინო პალატის მოხელე პუშკარევი. მასთან ერთად კენჭი იყარეს საგუბერნიო ექიმმა სერგეენკომ და მასწავლებლებმა ბოგოსლავსკიმ და პლატონოვმა. პუშკარევი, როგორც ამბობენ, უფრო მემარცხენეა, ვიდრე მემარჯვენე. პუშკარევის შემდეგ სხვაზე მეტი ხმა მიიღო პლატონოვმა, რომელიც მემარცხენეთა კანდიდატი იყო.

## ახალი ამბავი

✦ **გაფიცვა.** 25 სექტემბერს სოლოლაკში ოტტენის აფთიაქში გაიფიცნენ მუშები და მოითხოვეს მდგომარეობის გაუმჯობესება. 26 სექტემბერს ოტტენმა მუშები დაითხოვა და მათ მაგიერ სხვანი მიიწვია. ამ დღეს საღამოთი აფთიაქში შევიდა სამი კაცი. მათ მოითხოვეს მოსალაპარაკებლად ოტტენი. აფთიაქში დარაჯად მდგომ პოლიციელს უცნობების დაჭერა განუზრახავს, მაგრამ ისინი გაქცეულან. გამოსდევნებია და ტყვიით მხარში დაუჭრია. დააპატიმრეს ორი. ერთი აღმოჩნდა თ. ემსტრატოვი, მეორე ალექსანდრე რატიანი. ემსტრატოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს თიანეთის მაზრის გურგალ-ჭალის მცხოვრებნი ერასტი ციხელაშვილი და დავით შანკიშვილი და იმავე მაზრის სოფ. გორანის მცხოვრები გიორგი არაბული. ჰპრალდებათ ყაჩაღობა. ორენბურგის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე იგზავნებიან: მედუქნე ბახჩი მნაცაკანოვი, ივანე ომიაძე და ანტონ კებურია. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ მიხეილ დიმიტრაშვილს და ალექსი კობიაშვილს. დაჯარიმეს: 100 მანეთით—ღვინის სარდაფის პატრონი ყ. საკოვი, 25 მანეთით სახლის პატრონი ალ. პავლიაშვილი.

✦ **სხდომა.** ტფ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევის შედეგის გადასათვალიერებლად და ხმოსანთა დასამტკიცებლად 2 ოქტომბერს მოხდება სხდომა ტფილისის საგუბერნიო ქალაქის საქმეთა საკრებულოსი.

✦ **საქმე ტერორისტულ აქტების შესახებ.** ტფ. ოლქის სასამართლოში 31 ოქტომბრისთვის დანიშნულია საქმე ალექსანდრე აფრიდონიძისა, გიორგი შარუხიასი, სერგო ნუცუბიძისა, ვანო შალამბერიძისა და ვასილ ნანაბოვისა. ამათ სხვა და სხვა ტერორისტულ აქტის ჩადენას აბრალებენ. ბრალდებულთ დაიცავს ნაფიცი ვექილი მ. ა. კლანკი.

✦ **გორის სტაროსტა.** ტფ. გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. თუმანიშვილი ინიშნება ქ. გორის სტაროსტად. ქალაქს ამოურჩევია იგი და წარუდგენია ნამესტნიკისთვის დასამტკიცებლად.

✦ **სხდომა სადაო საქმის გასარჩევად.** 29 სექტემბრისთვის, ტფ. გუბერნატორის თავმჯდომარეობით, საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოში დანიშნულია სხდომა გლეხთა და მემამულეთა შორის სადაო საქმეების გასარჩევად. სხდომაზე, სხვათა შორის, მიწვეული გუბერნიის მარშალი, სახაზინო პალატის გამგე და სახელმწიფო მამულების გამგეობის უფროსი.

✦ **დაპატიმრება.** პოლიციამ მე-4 ნაწილში დააპატიმრა ყმაწვილი კაცი, რომელიც, პოლიციის ცნობებით, მაღაზიებში არიგებდა საარჩევნო ბიულეტენებს. უცნობს აღმოაჩნდა 89 ბიულეტენი. დაბეჭდილ ბიულეტინებში მოყვანილია გვარები ს. დ. პარტიის კანდიდატების გოგუასა, კანდახჩევისა და რამიშვილისა.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მეცხრე ნომერი. შინაარსი: „ილია ჭავჭავაძის ხსოვნას“ (სურათით); „ჭირკი და ნახშირი, (ფრანგულიდან ეკ. წერეთლისა); „ეგ მაწვია გვდიც იტანჯება“, (რუსულიდან) ანიკოსი: „რასაც დასთეს—იმას მომკი“, (რუსულიდან); „შერი;

## ფელეტონი

### ილია ჭავჭავაძე,

**როგორც მგოსანი**

(შემდეგი*)

მწყემს ქალის სიტყვებში ანდერძის აგებაა მეუდაბნოობისა; იგი გამოყვანილია, როგორც ეგოისტური მისწრაფება, ოღონდ მე ვცხონდე და სხვის დარდი არ მაწუხებსო.

მწირი ისმენს ამ სიტყვებს და მარტო მით უპასუხებს ქალს, რომ ყველაზედ უფრო სულია ტკბილიო. მაგრამ აქაც ქალი სჯობნის და მოკლედ მოსჭრის სიტყვას: „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით, ვეღარ დავიხსნით ვერაფრით სულსა“. მწირმა ყოყმანი დაიწყო, დაჰკარგა უწინდელი სულის სიმშვიდე და უპასუხა: „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე უბედურსა“. ამ სიტყვებში უკვე ისმის უკმაყოფილება თავის ბედის გამო. იწყება საშინელი ბრძოლა ორ ბუნების შორის—ხორცის და სულისა· თითქოს ხორცი სძლევს კიდეც სულს. ეს ბრძოლა ისე ხელოვნურად არის დასურათებული, რომ ვარჩევთ მგოსნის სიტყვებით განვაგრძოთ განხილვა:

უბედურსაო! ეგ ხომ სიტყვაა,
გულის ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!...
მან რა დაჰკარგა?.. ნუ თუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუ თუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულ-თქმის, ვნებისა
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
და რადად იბრძვის ეს ორი გრძნობა,
ხან ერთი დასძლევს და ხან მეორე:
„არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს.

არ გასწირავს სულს შევედრებულსა,
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას.
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!
არა და არა . . . . . . .

მალე მეუდაბნოეში იღვიძებს მეორე გრძნობა!

მაშ რამან სძლია...
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალოთ,
თითქოს მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დადალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს
ვით საყვარელსა ზედ დაჰხაროდა...
. . . . . . . . . . . . . .
თითქოს მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება...
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია,
და ემხსა, ვითა იადონს გარდზედ,
სული მის დაწვზედ დაულევია...
. . . . . . . . . . . . . .
და რა იხილა კვლარ იგი მწირმა...
დაუცხრა სული აღშფოთებული,
და რაღაც მალით ქალზედვე დარჩა
თვალი ტყვე-ქმნილი, გატერებული»

ამნაირად სული, თითქოს ერთხელ გამარჯვებული, კვლავ იძლევა ხორცისაგან:

დიდხანს უცქერდა...
ჰმრწის, მაგრამ იგი გრმწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
. . . . . . . . . . . . . .

თუმცა მწირისათვის ეს ჯერედ უცნობი გრძნობაა, მაგრამ მაინც საამოა:

როგორ იწამოს და რა დააქვას
ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

მწირი დამარცხებულია. ხორცმა ისე სძლია, რომ მან:

„ფეხი წინ წასდგა.. არ იცის კი რად?“
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, ოცნებასა
ბაგე გაეღო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე—არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც:
და დახარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ.
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!
ნუ თუ იძლია?!.

საწყალ მწირის გულში კიდევ იწყება სასტიკი ბრძოლა, მაგრამ ცოტა ხნით. იგი იკრეფს მთელს სულიერ ძალას, რომ დაჰგმოს ახალი გრძნობა: მწირი

იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირ-ქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა»:
მაგრამ ლოცვამაც ვერ უშველა, რადგან
იგივ ქენჯნაა,
. . . . . . . . . . . . . .
იგივე წრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება,
იგივ ნიშნგების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუ თუ ღვთის-მშობლის საფარველ ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება.

იქამდის მივიდა საქმე, რომ მწირს თვალ წინ სულ ის ქალი ედგა:

ზე აიხედა... დედა—ღვთის ხატია
მავედრებელი შეჰმართა თვალი.,
და ვაი, წმიდა ღვთის-მშობლი ნაცვლად,
თვალ-წინ უდგია იგივე ქალი!
. . . . . . . . . . . . . .
პირ-ჯვარი უნდა, ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა, ენა ებმება,
სატის ხილვა სწყურს და იგივ-იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება...
სულ რაღაცა ხმა მაცდური ჩასძახის ყურში:
«აბა სძლიეო» და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში...
მთელი ღამე მწირი „ვითა სიკვდილი
გაფითრებული“ დაწრწოლდა კლდეებში.
ამოვიდა მზეც...—მსწრაფლ უკუ-იქცა
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ნახა სარკმლიდან გადმოშვებული...
გულზედ მოეშვა... კვლავ სასოებით
დედა ღვთისასა მიაპყრო თვალი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
მაგრამ სხივმა წინანდებურად არ დაიქირა ლოცვანი და მწირს:
დაესხა რეტი, თვალ-დაუბნელდა
გაშრა, გაშეშდა ზარ-დაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.

ამნაირად, მგოსანი თავის ლეგენდაში „განდეგილ“-ში უფრო აღრმავებს იმ საკითხს, რომელიც მან დასვა თავის „ოთარაანთ ქვრივში“. ორ წოდებას, გლეხობასა და თავად-აზნაურობას არა თუ არ შეუძლიან ერთად მოთავსება, რადგან მათი ინტერესები სხვა და სხვანაირია, არამედ ვერც კი გაუგიათ ერთმანეთი: ერთის სიყვარული, ტკბილი სიტყვა მეორეს ანგარიშიან სიტყვად ესმის, მათ შორის ხიდია ჩატეხილი და იგი ჩატეხილი იქნება იმ დრომდე, სანამ არ ამოივსება ის უფსკრული, რომელიც აშორებს ამ ორ წოდებას. დედა-შვილობაშია-კი ორი თვალი და ორი ყური მოქმედებს. აქაც კი იშვიათად სჭრის თვალი გულისა და ყური გულისა. ეს ურთ-ერთის გაუგებრობაა ის ძირითადი პსიხიური საფუძველი, რომელსაც სარჩულად, რასაკვირველია, სოციალური მიზეზები უდევს.

ამნაირად: სოციალური უსწორ-მასწორობა და ინტერესებთა სხვა და სხვაობა იწვევს ადამიანის ბუნებაში, იმის ფსიხიკაში უსწორ-მასწორობას, გაუგებრობას. ცხოვრებაში ერთმანეთს ეჯახებიან სხვა და სხვა ინტერესები. მაგრამ შეჯახება ხდება პსიხიურ სხვა და სხვაობის ნიადაგზედაც. სოციალურ ფსიხიურ ბუნების სხვა და სხვაობა მეტად ღრმა და ძლიერია. აქედან წარმოსდგება ის, რომ, რაც ერთისათვის სიკეთეა სხვისთვის, სიბოროტეა, რაც ერთისთვის კარგია, ის სხვისთვის ცუდია, ერთის სიტყვით, სხვა და სხვაობა წარმოდგენათა ერთსა და იმავე საგანზედ ინტერესთა სხვა და სხვაობასთან ერთად ჯერ-ჯერობით შეუძლებელსა ჰხდის ჰარმონიულს მუშაობას. ამიტომაც მგოსანს არჩილისა და კესოს მისწრაფების უშედეგობის მიზეზად მიაჩნია ორ წოდების ფსიხიურ ბუნების ამნაირი სხვა და სხვაობა. ინტერესთა სხვა და სხვაობას რომ ზედ ფსიხიის სხვა და სხვაობა არ დაჰყოლოდათ, კიდევ შესაძლებელი იქნებოდა დროებით მიხვედრა და მოთავსება მათი. მგოსანი განთიადის დასაწყისს ჰხედავს სწორედ ამ ფსიხიურ ბუნების აღზრდაში „ცოდნიანის ცრემლით“ ანუ „ცრემლიანის ცოდნით“, ესე იგი ორ წოდების ფსიხოლოგიის ანალიზით, რომელსაც თან სდევს სურვილი მათის ერთმანეთთან დაკავშირებისა.

მაგრამ თუ მგოსანი „ოთარაანთ ქვრივში“ ამტკიცებს, რომ ინტერესთა სხვა და სხვაობა ჰქმნის ფსიხურ ბუნების სხვა და სხვაობას, „განდეგილ“-ში იგი სცდილობს დაამტკიცოს, რომ თვით ადამიანის გულში ორი კაცი ზის, ორი ბუნება: ერთი მიისრაფის ზეცისაკენ სულის ასამაღლებლად, მეორე კი ელტვის დედა-მიწას... და კაცობრიობას დღემდე ამ ორ ბუნების შესარიგებლად ვერა გამოუძებნია-რა. დღესაც ზოგი ზეცას არჩევს და ხორცს ჰგმობს, ზოგსაც თავის ცხოვრების საგნად გაუხდია დროებით სიტკბოება. მაგრამ მგოსანი ამბობს, რომ ამგვარ ცალ-მხრივობას ადამიანის ბუნებისას თავის დღეში არ შეუძლიან მისცეს კაცს სულის სიმშვიდე, რომ რაც უნდა გამარჯვებული იყოს ერთი მხარე ადამიანის ბუნებისა და მეორე დაჩაგრული, საკმაოა მცირე რამ, რომ დაირღვეს სულის სიმშვიდე და დაიწყოს სასტიკი ბრძოლა ორ ბუნების შორის. აშკარაა, საჭიროა ამ ორ ბუნების მორიგება, შეთანხმება. და აი სწორედ აქა ჩნდება ის კითხვა, რომელზედაც ჯერ პასუხი არავის მიუცია, სახელდობრ: როგორ უნდა მოხდეს ეს მორიგება, რა ადგილი უნდა დაეთმოს ან ერთს ან მეორეს, რომ ადამიანის ბუნება შეერთდეს, დამშვიდდეს? ამაზე ჩვენს მგოსანს პასუხი არ მოუცია, მაგრამ არც სხვას მოუცია პასუხი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ისარი“ № 207

სა და სომხურ სკოლებში, რადგან ესენი უფრო მეტად საჭიროებენ. ოთხი წლის შემდეგ უფრო საფუძვლიანად და მკვიდრათ შეისწავლიან იმ მასალას, რაც კურსშია მოქცეული. ვინ არ იცის, ეხლა ხალხში რა დიდი მოთხოვნილებაა სწავლისა. ქალაქის თვითმართველობა მოვალეა, სხვა ხარჯები შეამციროს და დააკმაყოფილოს ხალხის წყურვილი სწავლა-განათლების საქმეში.

დასასრულ უნდა შევნიშნო, რომ შარშან, 1906 წ., პირველ ენკენისთვეს შესრულდა სწორედ ოცდა ხუთი წელიწადი, რაც დაარსდა ეს პირველ-დაწყებითი სკოლები, მაგრამ ქალაქმა არაფრით აღნიშნა ეს მოვლენა.

**ხნიერი მასწავლებელი.**

## არჩევნები

**ტფილისში.** არჩევნები, როგორც ვწერდით, 27 სექტემბერს სამ ადგილას მოხდა: საშქოს დარბაზში, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში და ვარშამოვის თეატრში—ავლაბარში. ქალაქს ამ დღეს ჩვეულებრივი ხასიათი ჰქონდა, სრულებით ვერ შეატყობდა კაცი, თუ ამ დღეს „საპარლამენტო“ არჩევნები იყო. დრო გამოშვებით თითო ოროლა კაცი მიდიოდა და შემოწმების შემდეგ საარჩევნო ბიულეტენს აგდებდა ურნაში. ხალხი უფრო მიაწყდა საღამოთი, ასე 5—6 საათზე.

წელს ძალიან ცოტა ხალხმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა. სულ ტფილისიდან ბორჩალოს მაზრიდან ხმის უფლება ჰქონდა 27,000-მდე კაცს. არჩევნებში კი მონაწილეობა მიიღო 6919 კაცმა, ესე იგი მეოთხედმა. როგორც წინად, ეხლაც დიდის ხალისით მონაწილეობა მიიღო არჩევნებში ს.-დ. პარტიამ. რადგან ამ პარტიას არც ერთი ღონიერი მოწინააღმდეგე არა ჰყავდა, გამარჯვება იმას დარჩა.

საარჩევნო კრება დაიხურა საღამოს 9 საათზედ და ხმების დათვლა შემოწმება გადაიდო 28 სექტემბრისათვის. შედეგი არჩევნებისა ასეთია:

პირველ საარჩევნო ნაწილში მონაწილეობა მიიღო სულ 2660 ამრჩეველმა. აქედან ს.-დ კანდიდატებს ამოუვიდათ 2466 ხმა, პროგრესისტებს 78, დემოკრატებს 3 ხმა. გაბათილებულ იქმნა 115 ბიულეტენი. ამ რიგად, პირველ ნაწილში ამომრჩევლებად არჩეულ იქმნენ პ. გელეიშვილი და კ. ჩხეიძე.

მეორე საარჩევნო ნაწილში მონაწილეობა მიიღო სულ 2059 კაცმა. ს.-დემოკრატებს ამოუვიდა 1577 ხმა, დემოკრატებს 7 ხმა, ხოლო პროგრესისტებს 380 ხმა: დანარჩენი ბიულეტენები გაბათილებულ იქმნა.

არჩეულ იქნენ ვალ. გოგუა, არ. კონდახჩევი და ნოე რამიშვილი.

მესამე საარჩევნო ნაწილში მონაწილეობა მიიღო 2200 კაცმა. ს.-დემოკრატებს ამოუვიდათ 217 ხმა, კადეტებს—43. 40 ბიულეტენი გააბათილეს. არჩეულ იქნენ რაზმაძე, ნეიმან ზადე და იაგუბიანი.

პირველსა და მეორე საარჩევნო ბიულეტენებში ისეთი კონვერტებიც ერია, რომლებშიაც აღმოჩნდა პროკლამაციები ბოიკოტისტებისა და, სხვათა შორის, ასეთის წარწერით: „Въ этой комедіи не стоитъ участвовать“ და სხვა.

---

**ზუგდიდი.** მემამულეთა კრებამ ამომრჩევლებათ ამ ირჩია შემდეგნი პირნი: ვარადებულ აფაქიძე (მაზრის წინამძღოლი) კიტო მხეიძე და პეტრე ანჩაბაძე. პირველი ორი მემარჯვენეთ ეკუთვნიან, მესამე ავტონომისტია.

ქალაქის არჩევნებზე გამოცხადდა თითქმის ცხრაას ამომრჩეველთაგან 106 კაცი. ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა ქალაქის სასწავლებლის მასწავლებელი მ. პ. პატარია ლიბერალი გლეხთა კურიაში სოციალ-დემოკრატები აირჩიეს.

---

**ფოთი.** ფოთის ქალაქის არჩევნებზე სოციალ-დემოკრატები მეტად დამარცხდნენ. შარშან მათი ხმები ორჯელ აღემატებოდა ნიკოლაძის ხმებს, ეხლაკი ნიკოლაძემ მიიღო 423 ხმა, ხოლო სოციალ-დემოკრატის კანდიდატის ხმები 200 ძლივს გადასცილდა. იონა მეუნარგიამ მიიღო 408 ხმა.

## ახალი ამბავი

✦ **გენ. ტიმოფეევის წასვლა.** როგორც ვწერდით, ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ტიმოფეევმა სამსახურს თავი დაანება და 28 სექტემბერს უკვე წავიდა ტფილისიდან. გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას 28 სექტემბრიდან შეუდგა გენ. რაბინკინი.

✦ **ამომრჩევლის დაპატიმრება.** ამ დღეებში პოლიციამ რაღაც ბრალდების გამო დააპატიმრა 27 სექტემბერს ტფილისის ამომრჩევლად არჩეული ჟურნალ „მოლლა ნასრადინის“ თანამშრომელი ომარ-ფაიკ ნოიმან-ზადე.

✦ **სატეხნიკო სასწავლებელი.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ, შარშან რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის მოწაფეებმა რაღაც მოითხოვეს, რის გამო დაიხურა 2 და 3 კლასი და მოსწავლენიც დათხოვნილნი იყვნენ. გზათა მინისტრის განკარგულებით, განსაკუთრებულმა კომისიამ ეს საქმე გამოიძია და დაადგინა, გამორიცხულ 102 მოსწავლეთაგან მიიღოს უკანვე 45 კაცი. 28 სექტემბერს სწავლა დაიწყო მესამე კლასში, ხოლო მეორე კლასში ძველი მოსწავლენი აღარ დასტოვეს.

✦ **წიგნის აღკრძალვა.** კავკასიის საცენზურო კომიტეტის განკარგულებით 27 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, „ეპოქის“ სტამბიდან წაიღეს ბროშურა ლ. მარტოვისა, კლასობრივი ბრძოლა“, სომხურ ენაზე გამოცემული „განათლების“ ამხანაგობის მიერ.

✦ **ქალთა წრის კრება.** ამ დღეებში მოხდება ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად შემდგარი ქალთა წრის კრება სთხოვენ ყველას ვისაც კი აინტერესებს ხალხის კულტურული წარმატება, უეჭველად დაესწროს ამ კრებას. ამ კრებაზე ამორჩეული იქნება ზემოხსენებული ფონდისთვის მომავალში მომქმედი კომიტეტი ქალებისა. კრების დღე თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

✦ **რამიშვილის საქმე.** როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, სენატმა უყურადღებოდ დასტოვა პროკურორის ამხანაგის პროტესტი. პალატამ, როგორც ვიცით, ის. რამიშვილი გაამართლა. პროკურორის ამხანაგმა საქმე სენატში გადაიტანა.

✦ **პოლიტიკური საქმე.** სამოსამართლო პალატაში 26 ოქტომბრისთვის განსახილველად დანიშნულია პოლიტიკური საქმე იულიანა და ანდრო გოჩიტაშვილისა და ივანე მესხისა, რომელთაც ჰბრალდებათ მონაწილეობის მიღება განმათავისუფლებელ მოძრაობაში. როდესაც ამ ერთი წლის წინად პოლიციას ბრალდებულნი გაუჩხრეკია უნახავს გაუტენავი ყუმბარა, დაშლილი თოფი და ორი რევოლვერი. მას აქეთ ბრალდებულნი მეტეხის ციხეში სხედან. ბრალდებულთ დაიცავენ ნაფიცი ვექილები ი. ბარათაშვილი და კ. ჯაფარიძე.

✦ **ახალი წესდება.** გუშინ ტფ. ქალაქის თავმა მიიღო გუბერნატორისაგან საზოგადო საქმეთა დეპარტამენტის მიწერილება. დეპარტამენტი სწერს, რომ მთავრობა 1906 წ. 4 მარტის დროებით წესების ნაცვლად შეუდგა საბოლოოდ წესდების შემუშავებას კავშირთა და საზოგადოებათა ნებართვის შესახებაო. დეპარტამენტი სთხოვს ქალაქის თავს, აცნობოს თავისი აზრი იმის შესახებ, თუ რა ნაკლულევანებანი აქვს არსებულ კანონს და რა ცვლილებაა შეტანაა საჭიროო.

✦ **გენ. გუბერნატორის განკარგულებანი.** გენ.-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების დარღვევისთვის 15 მანეთით დაჯარიმებულ იქმნა სახლის პატრონი ტატიშვილი; ერთი თვით დაპატიმრებულ იქმნენ ტყის მცველი სანდრო მოზვრიშვილი და მხლებელი მედუქნე მიხ. ხინჩილაშვილი: აეკრძალა ტფილისის გუბერნიაში ცხოვრება სამხედრო წესების მოხსნამდე სოფ. ზერთის მცხოვრებთ ალ. ახალკაცსა და ალ. ტერტერაშვილს.

✦ **მშობელთა წრის კრება.** დღეს, დილის 12 საათზედ, ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის სადგომში მოწვეულნი არიან მოწაფეთა დედ-მამანი მშობელთა წრის კრებაზედ. კრება განიხილავს სხვა და სხვა საკითხს და აარჩევს რწმუნებულთ. ეს კრება უკანასკნელია. იგი უსათუოდ მოხდება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. სხვათა შორის კრებაზედ განხილული იქნება მოხსენება, შეტანილი შარშანდელ რწმუნებულის ს. ტარუაშვილის მიერ. იგი შეეხება სამღვთო სჯულის სწავლებას დედა-ენაზედ.

✦ **მამასახლისის მოკვლა.** ამას წინად კახეთში ვიღაცებს მოუკლავთ გზად მიმავალი ნაფარეულის საზოგადოების მამასახლისი ლაზარე ბაქრაძე.

✦ **ტუსაღების გაპარვა ბათუმში.** ბათუმიდან შემდეგს ამბავს გვატყობინებენ: 27 სექტემბერს ბათუმის საპყრობილედან გაპარულა 5 პატიმარი. პატიმრების დამალვის შემდეგ აღარსადა ჩანს ზედამხედველი საპყრობილისი კოზლოვსკიც. ეჭვი აქვთ, კოზლოვსკიმ პატიმრები გააპარა და თვითონაც მათ გაჰყვა.

✦ **დაპატიმრება.** თ. ელეკტრატოვი, რომელიც დაიჭირა ოტტენის აფთიაქში მისვლის დროს, მიხეილის საავადმყოფოდან საგუბერნიო ციხეში გადაუყვანიათ და ცალკე კამერაში მოუთავსებიათ.

✦ **გაფიცვა.** 27 ენკენისთვეს ბაქოში დაიწყო საკონდიტერო მოსამსახურეთა გაფიცვა. მიზეზი გაფიცვისა ის არის, რომ პოლიციამ ერთი მომუშავე დააპატიმრა.

✦ **საავტომობილო მოძრაობა.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება მისცა კლიბანსკის გახსნას საავტომობილო მოძრაობა ტფილისიდან დუშეთამდე და ტფილისიდან კოჯრამდე.

✦ თანახმად სიღნაღის მაზრის მომრიგებელ შუამავლის თავად ჯორჯაძის შუამდგომლობისა საგუბერნიო მთავრობა სასოფლო სამეურნეო თანხიდან სოფელ ანაგის საზოგადოებას სესხად მისცა 15000 მანეთი, ხოლო ვაქირისას 15771 მანეთი სხვა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

✦ ტფ. მაზრის სოფელ საგარეჯოს გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მათ სოფელში დაარსდეს პირველ-დაწყებითი სკოლა.

✦ დღეს სწავლის გამო ტფილისის საბჭოს სხდომა 1 ოქტომბერს აღარ მოხდება.

✦ 28 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა დუშეთის მაზრის მცხოვრებნი იოსებ ბედოშვილი და ალექსანდრე ბასილაშვილი, რომელთაც ჰბრალდებათ 27 სექტემბერს სურგუნოვის ქალის გატაცებაში მონაწილეობის მიღება.

✦ 28 სექტემბერს რიყის ქუჩაზედ შუშის მოქალაქეს მიქაელიანცს მოპარეს 300 მანეთის ნივთები. ამ ქურდობაში ეჭვი მიიტანეს დომენტი დარახველიძეზე და დააპატიმრეს.

✦ 27 სექტემბერს, დილის 10 საათზე პუშკინის ქუჩაზედ დაეჯახა ეტლი (139) და გაიტანა ყმაწვილი დავით მარტიაშვილი.

✦ 28 სექტემბერს საღამოს 5 საათზე, პოლიციელებმა დააპატიმრეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები თათია ხურცილავა, რომელსაც პოლიციის ცნობით, როტინოვის მაღაზიიდან 49 მან. 50 კაპ. მატერია მოუპარავს.

✦ 28 სექტემბერს ღამე პოლიციამ დააპატიმრა მოქალაქე ლუკიანოვი, რომელიც ასხაბადში იყო გაგზავნილი, მაგრამ იქიდან გამოქცეულა.

✦ გორის მაზრის სოფელ ედისის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ. რომ მიეცეთ ხაზინიდან სესხი. ედისელნი მოუსავლობით დაზარალებულან.

✦ ახალციხის მაზრის სოფელ სამურის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მიეცეთ თავისუფალი სახელმწიფო სახნავ-სათესი მიწები.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ნამესტნიკის კანცელარიის მოხელე სტრელბიცკი რამდენიმე დღეა, რაც რევიზიას ახდენს ქუთაისის პოლიციმეისტერის მოქმედებას შესახებ. როგორც ხმა დადის, პოლიციმეისტერი ზუბოვი სამართალში იქნება მიცემული.

✦ ჩვენ ნამდვილ წყაროებიდან შევიტყეთ, რომ ქუთაისის გუბერნატორად ინიშნება გენერალი სლოვოჩენსკი, რომელიც წინად ბათუმის ოლქის უფროსად იყო.

✦ 27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, სათეატრო კომისიის ინიციატივით იმართება სალიტერატურო საღამო ილია ჭავჭავაძის სახსოვრად. შემოსავალი გადაეცემა ილიას ფონდს.

✦ კელამოვის მარჯვენა ხელი ზუგდიდის სამაზრო სასამართლოს მდივანი ივანე დგებუაძე დაინიშნა სუფსის ბოქაულად.

## პრესსა

შ. დავითაშვილისა და ნიკიტინის რუსულ გაზეთს „ჩერნ. ვესტ.“-ს ხელობად გაუხდია სოც.-ფედერალისტების ლანძღვა-გინება მაგრამ ამ დეგენერატებმა, რომელთაც ორ წელიწადში ოცჯერ გამოიცვალეს რწმენა და მიმართულება, „ჩვენს გზასა“ და მის წინაპრებსაც კი გადააჭარბეს ჭორებით, სიცრუითა და ცილისწამებით. ამ გაზეთის მე 141 ნომერში დაბეჭდილია ვიღაც გადარეულ „ოგირის“ წერილი, რომელიც შხამით, ბრაზითა და გესლიან ცოფით არის გაჟღენთილი.

„წითელმა საფრთხემ“—სწერს ავტორი, შეაერთა მთელი ლიბერალური ინტელიგენცია. თვით სოც.-ფედერალისტებიც კი, რომელთაც ბოიკოტი გამოაცხადეს, თრთოლით მიდიოდნენ საარჩევნო ყუთებთან ს.-დემ.-ის გასამავებლად. ქუთაისში და **ტფილისშიაც** (კურსივი ჩვენია) ახალ მოდის „სოციალისტები“ თეთრ კენჭებს აძლევდნენ მემარჯვენე კადეტებსა და საზოგადოდ მემარჯვენეთ.

აი, მშვენიერი ნიმუში ნიკიტინისა და დავითაშვილის გაზეთის ცრუ-პენტელობისა და ჭორიკანობისა. ის ნომერი გაზეთისა, სადაც ეს სტრიქონები ამოვიკითხე, დაბეჭდილია 27 ენკენისთვეს, ტფილისში კი არჩევნები მოხდა მეორე დღეს, 28 ენკენისთვეს. მაშ საიდან გაიგო ჭორიკანა ავტორმა, რომ ტფილისში ს.-ფედერალისტები თეთრ კენჭებს აძლევდნენ მემარჯვენე კადეტებს? მოიგონა, მოჭორა ცხადი სიყალბე და წამოროშა. მაგრამ ჭორიკანა ავტორს ერთი ჭორი და სიცრუე არ ჰყოფნის და მას მეორე სიყალბესაც უმატებს. ის ამტკიცებს, ვითომ ფოთელი სოც.-ფედერალისტები არჩევნებში თავგამოდებით უჭერდნენ მხარს ნიკოლაძეს და იმედი ჰქონდათ, რომ ნიკოლაძე სოც.-ფედერალისტების პროგრამას დაიცავსო. ჭორიკანა თუ უვიცი არ არის, რის ჭორიკანა იქნება. თავხედობა და კადნიერებაა, როცა ნიკიტინის და დავითაშვილის ჭორიკანა გაზეთი ათეთის რიხითა და ფახით უკიჟინებს სხვას ორპირობას, თვითონ კი ასე ურცხვად სტყუის და ათას საზიზღრობას იგონებს.

## შავი ქვის მრეწველთა მეათე კრება

27 ენკენისთვეს ქუთაისში, მ. ი. ჩენგერის თავმჯდომარეობით, დაიწყო მრეწველთა მეათე საგანგებო კრება. მიუხედავად იმისა, რომ ამ კრებამ საბჭოს თავმჯდომარე უნდა აირჩიოს, ნაცვლად ბ-ნი ზდანოვიჩისა, ხალხი ნაკლებად დაესწრო. კრების მდივნად აირჩიეს დავით მდივანი ამის შემდეგ კრება შეუდგა საპროგრამო საკითხების განხილვას.

პირველად განიხილა კრებამ საკითხი მისასვლელ გზების გაყვანის შესახებ ჭიათურის შტოსთან. ამ საგნის შესახებ გ. ფ. ზდანოვიჩმა აცნობა კრებას, რომ მეცხრე კრების მიერ არჩეულმა კომისიამ 21 ივნის იქონია საბჭოსთან ერთად მსჯელობა და გამოარკვია ის პირობები, რომლებითაც შესაძლებელია გზების გაყვანის უფლების მიცემა. პირობათა პროექტი განუხილავს მრეწველთა კერძო კრებას, მოუწონებია იგი და თან ისიც დაუძენია, რომ გიორგი წერეთლის პროექტის განხორციელება სასურველია, თუ კონცესიაში აღნიშნული იქნება, რომ მადანი გადაუტვირთველად პირდაპირ შორაპნის სადგურამდე გაიგზავნებაო. თუ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი აქამდის არ გაგვიგზავნეთ სამინისტროში, სთქვა ბ ნმა ზდანოვიჩმა, იმიტომ რომ სამინისტრომ ამ კრებას დაავალა მისი განხილვაო.

დ. ნ. ბაქრაძე იმ აზრისაა, რომ პროექტი კრებამ კერძოდ უნდა განიხილოს და გაიცნოს იგი.

კრება არ დაეთანხმა ბაქრაძის აზრს და სამინისტროში გასაგზავნად დაამტკიცა კომისიის პროექტი და მრეწველთა კერძო კრების ოქმი.

მეორე საკითხი ეხება იმას, რომ გზათა სამინისტრომ უპირატესობა მისცა სამხრეთ რუსეთის ქარხნებს, რომელთაც ყოველ დღე წესის გარეშე ეძლევათ 30 ვაგონი შავი ქვის გასაგზავნად. ამ საგნის შესახებ იშუამდგომლა მეცხრე კრებამ, დეპუტაციაც წარუდგა გზათა მინისტრის ამხანაგს მიასოედოვ ივანოვს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნმა მიასოედოვმა თხოვნა კანონიერად სცნო, 4 ენკენისთვეს საბჭოს შუამდგომლობა უარჰყვეს და შავი ქვის გზავნას წეს-რიგის გარეშე სამხრეთ-რუსეთში სახელმწიფო ხასიათი მისცეს. ამავე დროს სამინისტრომ ამ უპირატესობას დროებითი ხასიათი მისცა და შემთხვევა იძლევა კვლავ განაახლონ შუამდგომლობა ან სამინისტროში ან ნამესტნიკის წინაშე.

**ივ ნიჟარაძე.** სამინისტროს განკარგულებამ უთვალავი ზარალი მოუტანა მრეწველობას და მრეწველთ [illegible] ში სამინისტროს განკარგულებ[illegible] ევსმა 22 [illegible] 12 [illegible] წია და წარმოუდგენელიც არის, რომ საქმე სხვა ნაირად გათავებულიყო. 30 ვაგონით დღეში, წლის განმავლობაში შეიძლება გაიტანონ კაცმა 9 მილიონი ფუთი მადანი. სამხრეთ რუსეთის მექარხნეებს ეს ვაგონები ეძლევათ წეს რიგის დაუცველად და ამავე დროს საზღვარ გარედ გასაგზავნი ვაგონები, თუ მრეწველს 20,000 ფუთი მადანი არა აქვს, არავის მიეცემა. ამ ნაირად, რათა კვირაში ერთ ვაგონს ელირსოს კაცი, 2000 მანეთი ხარჯი უნდა გასწიოს. ექსპორტერები ისეთ პირობებში არიან ჩაყენებულნი, რომ კონკურენციის გაწევა არ ძალუძთ რუსეთის მექარხნეებისთვის. საზღვარ გარეთის მეიდველებმა ეს კარგად შეიგნეს და სხვა გზა რომ ვერ მოსძებნეს, ჩვენს მადანს—ბოიკოტი გამოუცხადეს, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ 12 კაპეიკზე მეტს არ იძლევიან. ამ ნაირად თითო ფუთ მადანზე მრეწველობა აგებს არა ნაკლებ 10 კაპეიკისას, სულ წლიურად შეადგენს 3 მილიონამდე. შუამდგომლობა, ჩემის აზრით, აქ ვერას გააწყობს, რადგან აშკარაა, რომ საგზო სამინისტროს მოხელეთა სამშობლო მრეწველობის წარმატება-კი არ აინტერესებთ, არამედ სხვა მოსაზრება.

**კიტა აბაშიძე.** როცა ჩვენ ვინახულეთ გზათა მინისტრის ამხანაგი და საქმის გარემოება გაცნობეთ, მან სთქვა, უთუოდ მინისტრი შეცდომაში შეიყვანესო, თორემ სამხრეთ რუსეთის ქარხნებს უპირატესობას არ მისცემდნენო. რამდენსამე დღის შემდეგ იმავე პირმა ჩვენ წინააღმდეგ ილაპარაკა რკინის გზის საბჭოში. ამისთანა პირობებში ძნელია სამართლის მოპოვება. მიუხედავად ამისა, ჩემის აზრით, მეტი არ იქნებოდა ნამესტნიკის წინაშე გვეშუამდგომლა ამ საგანზე.

კრებამ ერთხმად გადასწყვიტა გაიგზავნოს ნამესტნიკთან დეპუტაცია, რომელმაც უნდა აცნობოს საქმის გარემოება და დახმარება სთხოვოს. დეპუტატებად აირჩიეს: გ. ფ. ზდანოვიჩი, ი. გ. აბაშიძე და ბ. ც. მოსეშვილი.

სხვა საკითხების განხილვა გადაიდო 28 ენკენისთვისათვის.

## პროვინციის ცხოვრება

**სოფ. კორბოული** (შორაპნის მაზრა). შემთხვევით მომიხდა ყოფნა სოფ. კორბოულში. ეს სოფელი შესდგება 800-მდე კომლ მცხოვრებისგან. როგორც სხვაგან საქართველოში აქაც, სამწუხაროდ, ხალხი ძალზედ დაბეჩავებული ყოფილა მრისხანე რეაქციის წყალობით. მითქმა-მოთქმა ურთი-ერთ შორის და დასმენა რჯულადგადაქცევიათ ზოგიერთებს. აქაური მამასახლისი მეტად შეუგნებელი კაცი ყოფილა. იმას არ ესმის არც ავი და არც კარგი. სამაგიეროდ, მას ჰყავს შესანიშნავი მწერალი. შეუძლებელია იმის „საქმენი საგმირონი“ კალმით აღწეროს. ეს ვაჟბატონი თურმე ძველი დროიდან სხვა და სხვა ადგილზე ყოფილა და ძალიან „გამოცდილიც“ არის. იგი არავითარს საშუალებას არ ერიდება თავის მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. შესანიშნავნი არიან აგრეთვე ახლად მოვლენილი სტრაჟნიკები, რომელნიც ადმინისტრაციამ ამ მოკლე ხანში გაამწესა. სულ ოთხი კაცია: ლეკი, თათარი და ორი ქართველი: გურული და იმერელი. ამათ შემოუღიათ ახალი სასამართლო. სამართლებენ ყველას მათრახებით დიდ უჯიათობას აყენებენ ისინი ხალხს ცხენების შოვნაზე: მიადგებიან რომელსამე გლეხ-კაცს და მოსთხოვენ ცხენს. თუ უარი განუცხადა მიცემაზე, მისდგებიან და მათრახებით ტყავს გააძრობენ. გასაკვირველია, რად უნდა მისცენ მცხოვრებლებმა ცხენი, როდესაც ისინი მოვალენი არიან ცხენიც იყოლიონ და თავიანთ ხარჯზედაც შეინახონ. ახლა ხან მათ შეუწერებიათ სამი სოფლისათვის შუშა. ეს შუშა კანცელარიისთვის არის საჭირო. სოფლელები, რასაკვირველია, უარის უთქმელად ეზიდებიან შუშას, მაგრამ სტრაჟნიკები მაინც სასტიკად სცემენ ხალხს, რატომ ჩქარა არ მოგაქვთო. **მგზავრი.**

## რუსეთი

✦ **ფინლიანდიის პრესსა.** ამბობენ, ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ერის კულტურა გაზეთების რაოდენობით განიზომე-

ბო. პატარა ფინლიანდიას, სადაც მხოლოდ 2 მლ. მცხოვრებია, ჰქონია 112 ყოველდღიური გაზეთი და 202 ჟურნალი. იმათთულებით გაზეთები ასე დანაწილებულა: 37 მოდერატების, 25 სტაროფინების, 16 სოც.-დემოკრატებისა, 3 ქრისტიანულ მუშათა პარტიისა, 3 შვედის ხალხური პარტიის. 26 შვედურ გაზეთიდან 1 სოც.-დემოკრატებისაა, დანარჩენნი სვედომანებისაა.

ფინური ჟურნალ-გაზეთი სოლრად იაფია, რაც იმით აიხსნება, რომ ქაღალდი ძალიან იაფია და ფოსტის ხარჯიც მცირეა. ყველაზე მოზრდილი, 8 გვერდიანი გაზეთი წლიწადში 6 მან. ღირს, დანარჩენი—2, 3 და 4 მანეთი.

✦ **არჩევნები პოლონეთში.** წარსულ პოლონეთში გამარჯვება დარჩა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. გლეხთა წარმომადგენლთა უმრავლესობა ნაციონალისტებს ეკუთვნის. ამავე პარტიამ გაიმარჯვა ლოძის მუშათა კურიაში. უკანასკნელ დროს ამ პარტიაში განხეთქილებამ იჩინა თავი. მიზეზი—პოლონეთის კოლოს პოლიტიკა იყო სათათბიროში. ერთი ნაწილი პარტიისა მთელ კოლოსს და მის ბელადს დმოვსკის იმაში ამტყუნებს, რომ პოლონეთის დეპუტატები სათათბიროში მეტად ლოიალურები იყვნენ რუსების და ინტერესებს [illegible]. მეორე ნაწილი პარტიისა მიემხრო კოლოს პოლიტიკას. ამგვარ დაშლას ცხარე პოლემიკა, რომელიც პარტიის ორ ნაწილთა შორის გაიმართა.

# დეპეშა

(პეტერბურგის ტელეგრაფის სააგენტოსაგან)

რუსეთში.

28 სექტემბერი.

**ნოვოჩერკასკი.** 18 აგვისტოს ხულიგნებმა ფოსტის კანტორის გამგეს [illegible] სასამართლოში [illegible].

**უმანი.** ხოლერა [illegible] ქალაქში [illegible].

**კიევი.** 22—27 სექტემბრამდე ხოლერით ავად გახდა 29 კაცი, გარდაიცვალა 8. [illegible]

**ეკატერინოსლავი.** 28 სექტემბერს [illegible].

**ტორინიეფი.** საგლეხო ბანკი ჰყიდის 21 მამულს—ზომით 38,727 დესეტინას. მათ ანაწილებენ სამოსახლოდ.

29 სექტემბერი.

**ლოძი.** დილით დაეცნენ კალიშის სადგურისაკენ მიმავალ პატრულს. კალიევანის პოლკის ერთი ჯარის კაცი მოჰკლეს და ორი დასჭრეს. თავ-დამსხმელთაგანი ერთი მოჰკლეს, ორი შეიპყრეს, სროლის ხმაზე მეორე ჯგუფი პანსკი ქუჩით გაიქცა და გზაზე პატრულს შეეფეთა. სროლის დროს დასჭრეს ერთი სტრაჟნიკი და ერთი დრაგუნი. ბრბო მიიმალა.

**ტულა.** ალექსინსკის, კრაპივენსკის და კაშირსკის მაზრებში საერობო კრებაზე გამგეობაში აირჩიეს სამის წლის ვადით მემარჯვენეები და ოქტომბრისტები.

**სარატოვი.** ცარიცინში ხოლერით ავად გახდა 3 კაცი.

**ტომსკი.** ბარნაულში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, 27 სექტემბერს ნოვონიკოლაევსკში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 7.

**რიაზანი.** გუბერნიაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 7.

**მოსკოვი.** გარდაიცვალა ფილტვების ანთებით „მოსკოვის ვედომოსტი"-ს რედაქტორი გრინგმუტი.

**ტირასპოლი.** სად. სატიმიეს მახლობლად თავისს ხუტორში გაძარცვეს და მოჰკლეს მემამულე ბურლაკი.

**პეტერბურგი.** სენატმა განმარტა, რომ ციმბირში გადასახლებულ ებრაელებს და მათ შთამომავლობას შეუძლიანთ იცხოვრონ მხოლოდ იმ მაზრაში სადაც მიწერილნი არიანო.

**კრასნოიარსკი.** 24—27 სექტემბრამდე ქალაქში ხოლერით ავად გახდა 5. სულ ავად გახდა 9, გარდაიცვალა 7.

**სამარა.** ქალაქში ავად გახდა 1, მაზრებში სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 527 გარდაიცვალა 269.

**ომსკი.** ქალაქში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 9.

**სიმბირსკი.** გუბერნიაში გარდაიცვალა 3 კაცი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** გარდაიცვალა 1 კაცი; გუბერნიაში სენის თავის ჩენიდან ავად გახდა 423, გარდაიცვალა 196 კაცი.

**კრასნოიარსკი.** აჩინსკში მძიმედ დასჭრეს ერთი პოლიციელი. მსროლელმა წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა და მოჰკლეს.

**ტაშკენტი.** მძარცველთა სახლს მიაგნეს დააპატიმრეს 8 კაცი.

**რეველი.** სახელმწიფო ბანკის განყოფილების გამგემ ბანკის სადგომს ათვალიერებდა და 6 საჟენის სიმაღლიდან გადმოვარდა, თავი გაიტეხა, ხელ-ფეხი მოიმტვრია. მარჯვენა ფეხი მოაჭრეს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** აღმოაჩინეს ს.-რევოლიუციონერების მეორე სტამბა.

**კამენეც-პოდოლსკი.** ლიტოვის მაზრის სოფ. კოროსტოვეცში გლეხებმა მოიტაცეს მოიჯარადრის ცეიტლენის ფულები და ნივთები. მერე სახლს შიგნით ცეცხლი წაუკიდეს, ესროლეს დარაჯს და მოსამსახურე ქალს. იმ ადგილისკენ გაგზავნეს მაზრის უფროსის თანაშემწე ყაზახებით.

**კიევი,** სოფ. სედბიკიდოვსკაში გლეხის სახლში, სადაც 7 კაცს ეძინა, ვიღაცა უცნობმა შეაგდო დინამიტიანი ყუმბარა ცეცხლ მოკიდებული პატრუქით. სახლის პატრონეა ყუმბარის გარედ გადაგდება მოასწრო. ყუმბარა აფეთქდა და სახლი დააზიანა.

**პოლტავა.** სოფ. მამაევკაში დაიწვა სახლი, ორი პავში ჰირნახული და 27 სახლი.

**ხმოლენსკი.** ქალაქის სახლის მახლობლად მოჰკლეს ერთი ასოთ-ამწყობი.

## არჩევნები.

**პეტერბურგი.** ევროპის რუსეთის 35 გუბერნიაში, პოლონეთის 6 გუბერნიაში, ციმბირის 2 ოლქში, კავკასიის 5 ოლქში და ტობოლის გუბერნიაში მოქალაქეთა მეორე კრებას აურჩევია 340 ამრჩეველი; იმათგან 4 რუსთა კავშირის წევრია, 2 ბესარაბიის ცენტრალურ პარტიისა, 11 ოქტომბრისტი, 1 მათ თანა მოაზრე, 1 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 1 დემოკრატიულ რეფორმისა, 101 კადეტი, 1 სახალხო სოციალისტი, 4 შრომის ჯგუფისა, 22 ს.-დემოკრატი, 1 ს.-რევოლიუციონერი, 1 ბუნდისტი, 2 სიონისტი, 2 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 2 დაშნაკცაკანი, 3 ესტონელი პროგრესისტი, 2 ბალტიის კონსტ.-მონარხისტი, 88 ნაროდოვეცი, 2 ზომიერი კონსტიტუციონალისტი, 1 პოსტეპენოვეცი, 2 პოლონურ რეალურ პოლიტიკის პარტიისა, 1 თავისს თავის უკიდურეს მემარჯვენედ მაღიარებელი, 17 მემარჯვენე, 5 მონარხისტი, 6 ზომიერი, 1 კონსერვატორი, 3 უკიდურესი მემარცხენე, 41 მემარცხენე, 52 პროგრესისტი, 52 უპარტიო, 8 უცნობი.

28 სექტემბრამდე ევროპის რუსეთის 39 გუბერნიაში და ტობოლის გუბერნიაში მოქალაქეთა პირველ კრებას აურჩევია 496 ამომრჩეველი, იმათგან 10 რუსთა კავშირის წევრია, 2 რუსთა განაპირა კავშირის წევრი, 2 ბესარაბიის ცენტრალურ კავშირის წევრი, 60 ოქტომბრისტი და მათი თანა მოაზრე, 8 მშვიდობიან განახლების პარტიისა, 119 კადეტი და მათი თანამოაზრე, 1 შრომის ჯგუფისა, 3 ს.-დემოკრატი, 1 ს.-რევოლიუციონერი, 1 მაჰმადიანთა ფრაქციისა, 2 ებრაელთა გათანასწორების პარტიისა, 1 ნაციონალისტი, 16 ბალტიის კონსტიტუციონურ-მონარხიულ პარტიისა, 19 თავის თავის მონარხისტად მაღიარებელი, 96 მემარჯვენე, 35 ზომიერი, 4 კონსერვატორი, 29 მემარცხენე, 34 პროგრესისტი, 36 უპარტიო, 15 უცნობი.

## უცხოეთში.

28 სექტემბერი.

**ხრისტიანია.** გემი «ფრიტიოფი», რომელიც ტრომზედან მოდიოდა, 22 სექტემბერს ჩაიძირა ლანგანესის კონცხთან. დაიხჩო 15 კაცი. მემანქანე გემის ნატეხზე დაჯდა და გადარჩა. ჯერ-ჯერობით ნაპირზე გამორიყარვა გვამი.

**ლონდონი.** რუსის მხუნა «ტესვინი", რომელიც ლაბტვიკიდან მოდიოდა შეშით დატვირთული, ექსმუტის მახლობლად წყლის ქვეშ კლდეს წააწყდა. მეზღვაურნი გადარჩნენ. მხუნა დაიმსხვრა.

**ბუდა-პეშტი.** ბუდა-პეშტის მახლობლად სწრაფი მატარებელი დაეჯახა საქონლისას. მოკვდა სამი მოხამსახურე, ოთხი მგზავრი მძიმედ დაშავდა, თხუთმეტი მსუბუქად. დაიმსხვრა მრავალი ვაგონი.

**პარიჟი.** პასუხის გებაში მისცეს ერვე და «ლა-გერ-სოციალ"-ის რედაქტორი. მათ ჰბრალდებათ ჯარის შეურაცხყოფა.

დეიტჩმა თავისი ჰაეროსტატი მთავრობას გადასცა.

მინისტრთა საბჭოს თათბირი ჰქონდა მაროკოს საქმეების შესახებ. საბჭომ შესაძლებლად დაინახა რამდენიმე სამხედრო გემის უკან დაბარება.

**კადიკსი.** მთავრობამ აღკრძალა სახალხო კრებების მოწვევა, რადგან ამ კრებებმა უწესოებანი გამოიწვია. ორატორები ხალხს ასაჯანყებლად იწვევდნენ.

**ნანსი.** რადიკალების კონგრესზე კონგრესის პრეზიდენტმა პელტანმა სხვათა შორის სთქვა, რომ შეუძლებელია შეწყნარებულ იქნას ისეთი აზრების გავრცელება, რომელიც დაცემას უქადის პატრიოტულ გრძნობას და ჯარისადმი სიყვარულს ამცირებსო. საჭიროა ბრძოლა მილიტარიზმის იდეის გარყვნისა და პატრიოტული გრძნობის ბოროტად მოხმარების წინააღმდეგაო. კონგრესზე დაიწყეს ყვირილი: „ძირს ერვიე"-ო.

29 სექტემბერი.

**სტამბოლი.** ბოლგარეთის სატელეგრაფო სააგენტოს მიერ გამოცხადებულმა ბოლგარიის მთავრობის პასუხმა პორტაზე და ილდიზ-კიოსკზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომ მოსალოდნელია, რომ სპეციალური მოლაპარაკება პორტასა და ბოლგარიას შუა რკინის გზების შეერთების შესახებ გაჭიანურდება. პორტამ უპასუხა ბოლგარიას—ახლა დრო არა მაქვს, სხვა საქმეებში ვარ გართულიო.

**ნანსი.** რადიკალთა კონგრესმა ერთხმად მოიწონა დელერის მოხსენება, რომელიც კიცხავს ერვეს დოქტრინას.

**მილანი.** 28 სექტემბერს მაშინების საშენებელ ქარხნის მუშები რკინის გზის სადგურზე თავს დაესხნენ მატარებელზე მსხდომ მუშებს, რომელთაც გაზის ქარხნის გაფიცულ მუშების მაგივრად მიდიოდნენ, დასჭრეს ერთი, ჩაამტვრიეს მუშები, კარაბინერებს ქვები დაუშინეს. კარაბინერებმა თოფები დასცალეს. ოთხი მუშა დაჭრილია, ერთი მათგანი მძიმედ. ქარხანებმა და მათ შორის გაზის ქარხანამაც მუშაობა შეაჩერეს. ტრამვაი არ დადის.

**სიმლა.** მთავრობას აზრადა აქვს შეიმუშაოს კანონ-პროექტი სარევოლიუციო კრებების აღკრძალვის შესახებ. პროვინციის უფროსებს უფლება ექნებათ გამოსცენ სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალით საზოგადო კრება უნდა მოხდეს მხოლოდ მთავრობის წერილობითი ნებართვით.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. აგალიშვილი.


# განცხადებანი

## ქ. ოზურგეთში

ავადმყოფობის გამო საჩქაროდ და სულ იაფად ვყიდი შუაგულ ქალაქში ორ სართულიან ქვიტკირის სახლს. მიწა 1700 ოთხკ. საჟენია. ეზოში მშვენიერი წყაროა. სახლი დაგირავებულია ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში. ვაძლევ ქირით გამოსადეგია ყოველგვარ დაწესებულებისთვის. დამქერს ყოველსავე მოთხოვნილებას შეუსრულებ. ვეძებ აგრეთვე მოიჯარადრეს—იკისროს სახლის ყოველივე საჭირო რემონტი. სახლის ნახვა სანახავად მსურველმა უნდა იკითხოს თედორე სირაძე. სხვა პირობების გაგება თვით სახლის პატრონთან ტფილისში მიხეილოვის პროსპექტზე, ნატალია იაგორის ასულს ვახრამოვისასთან. (1—338—1)

1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

## საჭიროა

თანამშრომელნი ორისა სქესისა

საქსოვ სამუშაოსათვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д 15 и 5. (100—71—66)

## სკოლა

დიაჩკოვისა და ჯაფარიძისა.

აამზადებს ბავშვებს ყველა საშუალო სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილებისას საცხოვრებლად.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121 ეზოში. (12—339—2)

დაიკარგა

## ჯიბგირებს

26 ენკენისთვეს,—საღამოს 8 საათზე, ტფ. სადგურზე ჯიბგირებმა ამომაცალეს თხელი სევადიანი ვერცხლის საათი და ვერცხლისავე ძეწკვი, რომელსაც პაწაწა ხანჯალი ეკიდა. რადგან საათი ნაჩუქარი იყო, ამიტომ იგი ჩემთვის უფრო ძვირად ღირს, ვიდრე ჩემი ჯიბგირისთვის. უმორჩილესად ვთხოვ იმას, ვინც საათი ამომაცალა, დამიბრუნოს ის საათი ძეწკვით და მიიღოს სამაგიეროდ 25 მან. პატიოსან სიტყვას ვაძლევ, რომ არ გავცემ და ჩემს პირობასაც შევასრულებ.

**ადრესი:** ელიზავეტინსკის ქუჩა, № 1 „სემეინი" ნომრები, მდგმური მე-9 ნომრისა. (3—უ.—3)

**მეჩექმეთა ამხანაგობამ**

## „ნდობამ"

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო **სახელოსნო განყოფილება,** სადაც მოიპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სუფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზა შეკერილის ყიდვით, და სკოლების საჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ბოებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუღდანოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.

გამგე ამხანაგობისა **ს. ბერძნიშვილი.** (20—6.—14)

✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას", რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860" და სიტყვა „ს.-პეტერბურგს", რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერ

პეტერბურგსა, მოსკოვსა რიგასა, ოდესსა, ეკატერინბურგსა

**ტფილისში,**

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—67)


სტამბა „ლეილი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.